ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 02/162

შპს „42 გრადუსის" მომსახურების თაობაზე

ქ. თბილისი *6 აპრილი 2011წ.*

ერთის მხრივ, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო - (შემდგომში-შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი მინისტრის მოადგილის გიორგი მაკასარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "42 გრადუსი", (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სოფიო ჯაფარიძის სახით, ერთობლიობაში წოდებული მხარეებად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები განმარტებული იქნება შემდეგი შინაარსით:

ა) „შემსრულებელი" – შპს „42 გრადუსი", მისამართი: ქ.თბილისი, პეტრიაშვილის 6.

ბ) „დამკვეთი" – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც სურს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება და რომელიც ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ თანახმაა მიიღოს შემსრულებლისაგან შემოთავაზებული მომსახურება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფარგლებში.

გ) „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს დამკვეთმა შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვნად შესრულებისათვის;

დ)„ვებ საიტი" _ გარკვეული მოცულობის მქონე ადგილი, სადაც ვებ საიტის მფლობელი ათავსებს მისი სურვილის მიხედვით ორგანიზებულ და შერჩეულ ინფორმაციას ინტერნეტ-ქსელის მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომად.

1.2. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული სხვა ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების ძალით მხარეები თანხმდებიან, რომ მისი მოქმედების პერიოდში შემსრულებელი დამკვეთის ნების საფუძველზე გაუწევს დამკვეთს 2.2. პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებას.

2.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დამკვეთისათვის, კერძოდ: სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს ვებ გვერდის დიზაინი, პროგრამირება და მართვის სისტემაში ინტეგრაცია დანართი 1–ის მიხედვით (შემდგომში მომსახურებად წოდებული).

მუხლი 3. მხარეთა გარანტიები

3.1. მხარეები თანხმდებიან ჯეროვნად (ზუსტად და დროულად) შეასრულონ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ნაკისრი ვალდებულებები.

3.2. მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მათ მიმართ არ არის აღძრული საგაკოტრებო სამართალწარმოება, არ წარმოადგენენ სასამართლო, საარბიტრაჟო თუ ადმინისტრაციული გადაცდომის განხილვის ობიექტს და რომ მათ წინააღმდეგ არ ხორციელდება ისეთი ქმედებები, რომელიც გაართულებს ან შეუძლებელს გახდის წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული მოცულობით განხორციელებას.

3.3. მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ რეგისტრირებულნი არიან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და გააჩნიათ წინამდებარე ხელშეკრულების დადების სრული უფლებამოსილება.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კეთილსინდისიერად დაიცავენ წინამდებარე ხელშეკრულებას და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს. მხარეთა უფლებები და მოვალეობები რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით.

4.2. ერთ–ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზიანს აუნაზღაურებს ამ ხელშეკრულების მე–7 მუხლით დადგენილი წესით.

4.3. შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას:

ა) გაუწიოს დამკვეთს მაღალპროფესიული მომსახურება და სამუშაო შეასრულოს დროულად და ხარისხიანად დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად;

ბ)ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი;

4.4. "შემსრულებელი" იხსნის პასუხისმგებლობას ვალდებულების დროულად შესრულებისათვის იმ შემთხვევაში, თუ "დამკვეთი" გათვალისწინებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

4.5. შემსრულებელი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომსახურების მიწოდებაზე მის საკუთრებაში არსებული ლიცენზიებითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საფუძველზე, თუ:

ა) მომსახურების მიწოდება შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული მოვლენების გამო.

ბ) დამკვეთი არ იცავს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, მათ შორის დროულად არ იხდის მიწოდებული მომსახურების საფასურს.

გ) დამკვეთი იყენებს შემსრულებლის მიერ გაწეულ მომსახურებას არაკანონიერი მიზნებისათვის ან არაკანონიერი გზით მიიღოს მომსახურება

4.6. შემსრულებელს უფლება აქვს მოსთხოვოს დამკვეთს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემსრულებლის უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

4.7. შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადაუხდელობის შემთხვევაში გადასცეს მესამე მხარეს (საკრედიტო ინსტიტუტები, ბანკები და სხვ.) ინფორმაცია საჯარო გამოქვეყნებისათვის.

4.8. დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას:

ა) შეასრულოს მასზე ნაკისრი ვალდებულება ხელშეკრულების პირობების თანახმად;

ბ) სრულად და დროულად მიაწოდოს შემსრულებელს სამუშაოსათვის საჭირო მასალა და ინფორმაცია;

გ) არ მოახდინოს შეთავაზებული ნიმუშის გამოუყენებლობის ან ურაყოფის შემთხვევაში მისი შემდგომი რეალიზაცია ან მესამე პირებისათვის გადაცემა;

დ) აწარმოოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

ე) შემსრულებელს გადაუხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასური წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

ვ) დამკვეთის ინიციატივით, წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისას, სრულად დაფაროს შემსრულებლის წინაშე არსებული ნებისმიერი დავალიანება.

4.9. დამკვეთის მიზეზით დამდგარი ნებისმიერი ფაქტი/გარემოება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის მომსახურების მიწოდების შეფერხება, არ ათავისუფლებს დამკვეთს სავარაუდო მომსახურების ღირებულების გადახდისაგან.

4.10. შემსრულებლის მიერ დამზადებული პროდუქტი განკუთვნილია მხოლოდ დამკვეთის პირადი სარგებლობისათვის და წარმოადგენს მის საკუთრებას. დაუშვებელია მისი გამოყენება ან მესამე პირისთვის მისი გადაცემა შემსრულებლის მხრიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მას დამკვეთის მხრიდან წერილობით მიეცემა ამის ნებართვა.

4.11. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას სამუშაოს შესრულებისას დამკვეთისგან მიღებული იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომლის გამჟღავნება, ან გახმაურება არ შედის დამკვეთის კანონიერ ინტერესებში. შემსრულებელი ვალდებულია შეასრულოს ამ პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობა ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც, წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის მიუხედავად.

4.12. შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის არსებობის შემთხვევაში პასუხისგებლობა ამ ზიანის ოდენობით ეკისრება შემსრულებელს.

4.13. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ა) "დამკვეთი" შესრულებული სამუშაოსათვის გადასახდელი თანხის დადგენილ დროში გადაუხდელობის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის პირველასამტეხლოს გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით;

ბ) "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას სამუშაოს შესრულების დაგვიანების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეამციროს სამუშაოს ღირებულება გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

4.14. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების ნებისმიერი მხარის რეორგანიზაცია არ მოახდენს გავლენას წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე და არ გახდება ამ ხელშეკრულების მოშლის ან მისი პირობების შეცვლის საფუძველი;

მუხლი 5. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს გადაუხადოს მომსახურების მთლიანი ღირებულება, რაც შეადგენს 4 999 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტი) ლარს, გადასახადების ჩათვლით.

5.2. სამინისტროს საიტის საწყისი და შიდა გვერდებზე მუშაობის დასრულების შემდეგ შედგება შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც ანაზღაურდება ხელშეკრულების ღირებულების ნახევარი.

5.3. საბოლოო პროდუქტის ჩაბარების თაობაზე მხარეთა შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რის საფუძველზეც ანაზღაურდება დარჩენილი თანხა.

მუხლი 6. ხელშეკრულების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე ან მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით მის სრულ გაუქმებამდე.

6.2. ერთ-ერთი მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების უხეში დარღვევის შემთხვევაში ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, დასაშვებია ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტა.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტა

7.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა ხდება ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. მხარეები უნდა ეცადონ ერთმანეთს შორის წამოჭრილი დავა, უთანხმოებანი და გაუგებრობები გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით, ამ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების პერიოდში.

7.2. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ურთიერთმოლაპარაკების გზით, მათ აქვთ უფლება მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

7.3. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულია ქ. თბილისი.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისთვის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო;

8.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს;

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეები დაუყონებლივ აცნობებენ ერთმანეთს მიზეზებსა და ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისა და ვალდებულებების შესრულების მოსალოდნელ თარიღს.

8.4. თუკი ფორს-მაჟორული გარემოებები გრძელდება ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, ორივე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.5. მხარე რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებილ აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული 3 (სამი) დღის ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუ კი შეტყობინების გაუგზავნელობა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით;

8.6. დაუძლეველი ძალის გარემოებათა 7 (შვიდ) დღეზე მეტი ხნით არსებობისას მხარეს რომელიც არ იმყოფება ასეთ გარემოებათა მოქმედების ქვეშ, უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შეიძლება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს.

9.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ძალდაკარგულად (ბათილად) ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი რომელიმე სხვა დებულების ბათილობას. მხარეები იღებენ თავის თავზე ვალდებულებას შეცვალონ ძალდაკარგული (ბათილი) დებულება ახალი დებულებით, რომელიც შესაბამისობაში იქნება ხელშეკრულების გაფორმების პირველად მიზანთან.

9.5. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, თუ მეორე მონაწილე მხარე არადროულად ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

9.6. მხარეები ვალდებულნი არიან აცნობონ ერთმანეთს თავიანთი იურიდიული მისამართისა და სხვა რეკვიზიტების ცვლილებების შესახებ 7 დღის განმავლობაში.

9.7. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

9.8. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებებების შეტანა, მისი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთან გაუქმება, ცვლილება, ან დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით და ხელმოწერილ იქნას მხარეთა მიერ.

9.9. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

9.10. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა აუცილებელი შეტყობინება დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან, გაგზავნილი იქნება ფაქსით ან დაზღვეული ფოსტით ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებულ მისამართებზე;

9.11. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაზე ხელისმოწერიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.12. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.

9.13. თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

9.14. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ სემთხვევაში მხარეები შეეცდებიან მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.

9.15. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად. ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

9.16. ხელშეკრულება გაფორმებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10˜ მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" საფუძველზე.

"მიმწოდებელი"

შ.პ.ს. "42 გრადუსი"

საიდენტიფიკაციო კოდი 204533601

პეტრიაშვილის 6, თბილისი 0179

ტელ: (+995 32) 51 42 42 (899 96 95 11)

ს.ს. "თიბისი ბანკის" ვერის ფილიალი

ბანკის კოდი 220101818

ა/ა 10736020100003

ხელმოწერა .....

დირექტორი: სოფიო ჯაფარიძე

"შემსყიდველი"

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42

სახელმწიფო ხაზინა

კოდი: 220101222

ა/ა № 200122900; ს/კ №204564934

ხელმოწერა .....

მინისტრის მოადგილე

გიორგი მაკალაშვილი

დანართი 1:

პროექტის ვადები

#	სამუშაო	
1	დიზაინის შექმნა	
2	დიზაინის HTML-ში დაჭრა	
3	პროგრამირება	
5	სიახლეების მოდული	
6	დაგზავნის მოდული	
8	პროექტების გვერდი	
9	ორგანიზაციის სტრუქტურა	
10	პრესს რელიზები	
11	სტატიები	
12	უკუკავშირი	
13	ძებნა საიტზე	
14	ხშირად დასმული კითხვები	
17	მართვის სისტემაში ინტეგრაცია	
18	მასალების გადატანა	
19	ტესტირება და გაშვება	
	სულ	*90 სამუშაო დღე*

შეთანხმების აქტი

06.04.2011 წლის #02/162 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შესახებ

ქ. თბილისი

15 ივლისი 2011 წელი

ერთის მხრივ,
სასჯელაღსრულების,პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო
წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი არსოშვილის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის 42,
საიდენტიფიკაციო კოდი: #204564934
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა 200122900;
(შემდგომში "შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ,
შპს "42 გრადუსი"
წარმოდგენილი დირექტორის სოფიო ჯაფარიძის სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ. #6
საიდენტიფიკაციო კოდი: #204533601
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ანგარიში # 10736020100003
(შემდგომში "შემსყიდველი")

2011 წლის 15 მარტს გაფორმებული #02/162 ხელშეკრულების 9.8 პუნქტის და სამოქალაქო კოდექსის 398 ე მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის #9 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი" ს მე 20 მუხლის საფუძველზე ვთანხმდებით შემდეგზე:

შევიდეს ცვლილება მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, კერძოდ:

1. მე 2 მუხლს დაემატოს 2.3 პუნქტი შემდეგი რედაქციით: "CPV კოდი: 72400000 – ინტერნეტ მომსახურებები."
2. ხელშეკრულების მე 5 მუხლის 5.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: "შესყიდვის ობიექტის ჯამური ღირებულება შეადგენს – **5 349,00 ლარს** (ხუთი ათას სამასორმოცდაცხრა ლარი და 00 თეთრი)."
3. ხელშეკრულების **დანართი #1** ჩამოყალიბდეს თანდართული სახით (იხილეთ დანართი).
4. ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.

წინადებარე "შეთანხმების აქტი" წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული
დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი არსოშვილი

მიმწოდებელი:

"42 გრადუსი"

სოფიო ჯაფარიძე

დანართი #1

#	შესასრულებელი სამუშაო	შესრულების ვადები
1.	დიზაინის შექმნა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 სამუშაო დღე
2.	დიზაინის HTML-ში დაჭრა	
3.	პროგრამირება	
4.	სიახლეების მოდული	
5.	დაგზავნის მოდული	
6.	პროექტების გვერდი	
7.	ჩამოსაშლელი მენიუ	
8.	პროექტების გვერდი	
9.	ორგანიზაციის სტრუქტურა	
10.	პრესს რელიზები	
11.	სტატიები	
12.	უკუკავშირი	
13.	ძებნა	
14.	ხშირად დაამული კითხვები	
15.	მართვის სისტემაში ინტეგრაცია	
16.	მასალების გადატანა	
17.	ტესტირება	

შემსყიდველი:

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

გიორგი ანსოშვილი

მიმწოდებელი:

"42 გრადუსი"

სოფიო ჯაფარიძე